

ივერია

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამოეცემა. საზოგადოების კანცელიარიას ფასი განცხადებასა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეორეზე 3 კაპ.

„ივერია“ ტელეფონი № 227

„ივერია“ ტელეფონი № 227

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მალაზიას ვასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წიგნი დაიბეჭდა

მეცხე წელიწადისათვის.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მალაზიადან, მას 20% დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მალაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10-უ.—10)

გუბერნიის, ჯუბრიალ-შუშის ნაწილის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორის თანამშრომლის თანამდებობის აღმასრულებელი, თავადი ვერხვიშვილი—ამჟვე გუბერნიის ჯუბრიალის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორად.

ახალი ამბავი

* ოთხშაბათს, 8 ივლისს, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი მივიდა ქალაქის გამგეობაში და კარგა ხანს იყო იქ. გუბერნატორს ჰსურდა გაეცნო საქმის წარმოება ქალაქის გამგეობაში და აგრეთვე ზოგიერთ საქმეთა ვითარება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გუბერნატორმა ქალაქის განათებისა და ქუჩების მოკირწყვლის საქმეს. ქალაქის მოურავმა განუმარტა გუბერნატორს, რომ ქუჩების და მოედნების განათებას ამიერიდგან თვით გამგეობა კისრულობს და 500 ახალს ფარანს დასდგავს ქუჩებში. რაც შეეხება ქუჩების მოკირწყვლის საქმეს, ქალაქის გამგეობა შემოდგომაზე შეუდგება.

საზოგადოდ ბ-ნმა გუბერნატორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ტფილისის რუსეთის იმერიაში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით მეცხრე ადგილი უჭირავს, მაგრამ თვისის მოწყობილობით-კი მრავალ სხვა ქალაქებს ჩამოუვარდება. ბოლოს გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ქალაქის საქმეებს მომეტებული ყურადღება მიაქციეთ.

* ქუთაისის ქალაქის მოურავის არჩევანები იქნება კვირას, 12 ივნისს. * ამ ჟამად ქალაქში იმყოფება ინჟინერი ბლანშო, რომელიც მოუწვევია ბ. თამაშოვს წისქვილის გადგენის რედაქციის მიზნით.

დე ჩინურის ოსტატობით; მაგრამ ჩემმა სტუმარმა შეხვრიტა თუ არა, მაშინვე იქით გადადგა ქიქა ამ სიტყვებით: „მოვკვდები, არ მინდა“. როდესაც გაკვირვებული ვარწმუნებდი, რომ ეს არის ერთი საუკეთესო ჩაი, რომელიც კი ჩვენში იშვიათად მეთქი, ჩინელმა დამტყრულის რუსულის ერთ მიპასუხა: „ჩაი არ არის, ბევრი ზეთის ხილის ყვავილია“.

ყველაზედ ძალიან ჩინურს ჩაის ჰგავს მცენარე მატე, ანუ პარავაის ჩაი, რომელიც დიდძალი იხარჯება სამხრეთ ამერიკაში. ეს მცენარე „ჯაგანარია“ (ბუჩქის მავარი) და მიემსგავსება თავისის მოგძო ფოთლებით ახალგაზდა მუხის ხეს. 28 თებერვალს 1883 წ-სამკურნალო საბჭომ ნება დართო პარავაის ჩაის ვასყიდვისა რუსეთში. საწყობი ამ ჩაისა ქ. ვარშავაშია და აქედგან იგზავნება რუსეთის სხვა ქალაქებში.

ბრაზილიაში არის ერთი მცენარე „მატეს“ მზავსი, ვერედ წოდებულად „paullina lorbilis“. ამ მცენარეს

საკეთებლად. ეს ინჟინერი მცოდნეა ელექტრონის განათებისა. სხვათა შორის ამ ინჟინერმა გამართა მანქანები ელექტრონის განათებისა თავად აზნაურობის ქარვასლაში.

* გუშინ, 9 ივლისს, ტფილისის მეორე ნაწილის მოსამართლემ განიხილა 21 ყასბის საქმე, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებულ ნიხრზე ძვირად ჰყიდდნენ ხორცსა.

იმავე მოსამართლემ განიხილა საქმე საკანდიტრო მალაზიის პატრონის საკოიანცისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ამას წინად იმის მალაზიაში რამდენიმე კაცი მოიწამლა. მოსამართლემ ეს საქმე გადასდო და დააგინა მოწვეულ იქნენ ის კაცები, რომელნიც მოიწამლნენ საკოიანცის მალაზიაში და აგრეთვე მკურნალი კარაპეტიაცი, რომელიც სწამლობდა იმთა.

იმავე დღეს ტფილისის მესამე ნაწილის მოსამართლემ გაარჩია საქმე გრაჩევისა და კოვტუნენკოსი, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ თავიანთ მალაზიებში უფარვის სანოვანგესა ჰყიდდნენ. მოსამართლემ გრაჩევის ერთის თვით დააბრუნება მიუსჯა საპატიმროში და კოვტუნენკოს-კი—ორის თვით.

* გუშინ-წინ, 8 ივლისს, ტფილისში ჩამოვიდა ტყეთა დეპარტამენტის დარექტორი თ. პ. ნიკიტინი. სად. ყაზბეგზედ ბნ ნიკიტინს მიეგებნენ: ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე ბეკი ზ. ამ უწყების სხვა მოხელენი. ბ-ნმა ნიკიტინმა უკვე დააუვალიერა ტფილისის საბალოსო სასწავლებელი, სააბრეშუ-

ნივე თესლი აქვს; თესლებს ჰნაყავენ, ცეცხლზედ შუშავენ (აშრობენ), მერე იმისგან ამზადენ ცომს და, შოთის მზავსი პურები გამოჰყავთ. ადგილობრივ იმას ისე ჰხმარობენ, როგორც აფურის ჩაის; გემოვნებით მიემსგავსება ჩაისა და ყავას, ერთმანეთში არეულს.

აბაშეთსაც თავისი საკუთარი ჩაი აქვს, წოდებული „კატად“, რომელიც მზადდება მცენარისაგან *Catja edulis*. აბაშელები სტუმრებს იმ მცენარის ნაღულარით უმასპინძლებიან, ან თითო მუქს იმის ფოთლებს დასაღებად მისთავაზებენ ხოლმე.

1851 წლიდგან ბევრს ადგილას ვეროპაში ყავის ფოთლები ჩაის მაგიერობას ეწვეა. გემოვნება სასიამოვნო აქვს და მიემსგავსება ჩაისა და ყავას, ერთმანეთში არეულს.

რუსეთშიაც არის მცენარე „ივანეს ჩაი“; კამაღალები იმისგან აკეთებენ ძლიერ ნოყიერს სასმელს, მაგრამ ჩვენ სახელმწიფოში მომეტებული ნაწილად ჩინურს ჩაიში ურევენ და

მო სადგური და საბოტანიკო ბაღი. ჩვენს ქვეყანაში ბნი დირექტორი ამ თვის გასვლამდე დაჰყოფს; ტფილისიდან ჯერ კახეთში წავა, შემდეგ ზაქათალის ოლქით გავჯავა და ბაქოს გუბერნიაში.

* როგორც ქალაქის მოურავის გამოკვლევით აღმოჩნდა, ზოგიერთს აგენტებს მთელის თვეობით არ შეაქვთ თურმე გამგეობაში მონაკრები ფული. გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ვერის ბაზრის ზედამხედველი.

* რადგანაც 15 ივლისიდან ქუჩების დასუფთავება თვით სახლის პატრონებმა უნდა დაიწყონ და მოსალოდნელია, რომ სახლის პატრონები წესიერად არ შესრულებენ ამ მოვალეობას, ამიტომ ტფილისის პოლიციის მეთაურმა უკვე შეუკვეთა 2,000 ცალის ოქმის ქალაღლის დაბეჭდვა, რომ პასუხის-გებაში იქნენ მიცემული ისინი, ვინც საბჭოს სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს.

* ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა რა სასანიტარო სამკურნალო-საქმის დასრულება ათა თანგთან საბრძოლველ ღონის ძიებათა შესახებ, დაადგინა: 1, 10 ნაცვლად 20 ადგილი დააარსოს ათაშანგის ავადმყოფთათვის ქალაქის თავშესაფართან არსებულ ასეთ ავთიმყოფთა განყოფილებაში; 2, შეიმუშავოს სავალდებულო დადგენილებანი იმის შესახებ, რომ იმ ქარხნებსა და სავაჭრო სახლებს, სადაც 100 მუშაზედ მეტია, საკუთარი მკურნალი ჰყავდეთ და ამთ დრო გამოშვებით გასინჯონ ხოლმე მომუშავენი; და 3, იმ სავაჭრო და სამრეწველო სახლების მომუშავეთა გასინჯვა, სადაც 100 მუშაზედ ნაკლებია, მიენდოს საბჭოს მკურნალებსაც.

იცე ჰყიდიან. გერმანელთა ზოგიერთი სწავლულები და რუსეთის მეურნენი გვირჩევენ მარწყვის ჩაის, რომელიც, იმათის აზრით, არ დაუფარდება ჩინურს ჩაის. რამდენად მართალია, ამის განსჯაში არ შევალთ, მხოლოდ იმას კი მოვიხსენიებთ, რომ იაროსლავის გუბერნიაში მთელი ერთი მაზრა ამზადებს ტყის მარწყვიდან ჩაის და დიდის წარმატებით ასაღებს ჩიყეგოროდის „იარმუკაზედ“.

კავკასიაშიაც არის ერთი მცენარე; ჩინურს ჩაისს კი არ მოგახსენებთ, ვამბობ უბრალო ბუჩქნარის შესახებ, რომლის ფოთლებს ხელოვნურად ამზადებენ და ჩინურ ჩაის ამსგავსებენ.

თუ ყველა ეს ჩამოთვლილი ნივთიერება თავის ნამდვილი სახელეებით იყიდება, ეს არაფერს ბოროტ-მოქმედებას არ შეადგენს, მაგრამ თუ ესენი, ან ისეთები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ჩაისთან, ნამდვილის ჩინურის ჩაის სახელით იყიდება, ან გარეულია ჩი-

ვიყვან

სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოსწავლეებს 1 სექტემბრიდან ჩემს სახლში დასაბინავებლად ხელ-მისაწვდენ ფასად. მობარებულ მოსწავლეებს ექნებათ რიკიანი თავშესაფარი და საქმელ სასმელი.

მსურველმა მოაგათხოს „ივერია“ რედაქციაში. (6-უ.—2).

ბირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

- დღეობით:
- ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღამოს 6-დან, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.
 - გ. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნეულდანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
 - მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდენკო. 10¹/₂—11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტრის.
 - ზ. ა. ბაბანასიანი. — დილის 11¹/₂ — 12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
 - ა. თ. პრატსევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ფელეტონი

ჩაის ბუჩქი
გ. ფრენსა
(დასასრული *)

რამდენადმე რომ წამოვიდგინოთ, რა სახით ვიღებთ ჩინურ ჩაის, საქიროა გავიცნოთ ის ნივთიერებანი, რომლებსაც ჩაიში ურევენ და ჩაის სახელით ასაღებენ. არც ერთს ვაკრობაში ისე არ არის განზიარებული სიყალბე, როგორც ჩაისაში. 100-ზედ მეტს სთვლიან ისეთ ნივთიერებას, რომლებსაც პირდაპირ ჩაის სახელით ჰყიდიან, ან ნამდვილს ჩაიში ურევენ. მეტის-მეტად პატიოსნობით უნდა იყოს აღტურვილი ვაჭარი, რომ ნამდვილი ჩაი გაჰყიდოს და შიგ არა აურიოს-რა.

ისევ მე-XVIII საუკუნეში იმ ჩაიში, რომელიც ევროპაში შემოჰქონდათ, ჰპოულობდნენ სხვა მცენარე-

ბის ფოთლებსაც. მე-XIX საუკუნის ნახევარში ჰევრმა მიაქცია ყურადღება და განსაკუთრებით ციმბირელებმა საეჭვო სიიფეს ჩაისას და იმისს ცუდს თვისებას სატახტო და დიდრონს ქალაქებში. მაგალითად, ირკუტსკში გირვანქა მდარე ბიხონვის ჩაი იყიდებოდა 1 მ. 70 კ. და უფრო შორს მანძილზე წადებული პეტერბურგში იგივე ჩაი გირვანქა იყიდებოდა 1 მ. 50 კ. ან ირკუტსკის ვაჭრები დიდს მოგებას იღებდნენ, ან პეტერბურგის ვაჭრები მეტად ჰხარალობდნენ. ბევრის ძიების შემდეგ ციმბირელები მიჰხდნენ რაშიაც იყო საქმე. პეტერბურგის მანეთ-ნახევრიან ჩაიში აღმოჩნდა 1/2 ნამდვილის ჩაის ფოთლები და 2/2 სხვა მცენარის ფოთლები. რამდენადც ვართ ჩვენ მცოდნენი ნამდვილის ჩინურის ჩაისა, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. ერთხელ ერთი ჩემი ნაცნობი ჩინელი მოვიდა ჩემთან, რომელსაც ერთი ქიქა ჩაი შევთავაზებ. იმ დროსვე შემესწრო გირვანქა 8 მანათიანი ჩაი და განვებ მოვაზა-

*) იხ. „ივერია“, № 145.

ამ დღეებში სამკურნალო-სასანიტარო მოხელეთ განსიჯეს და გააუქმეს რონისის საწყობში 1155 ტომარა ფქვილი, და ისააკ ნარიმანოვის საწყობში 107 ტომარა. ეს ფქვილი, როგორც საქმიო ლაბორატორიაში გამოიკვლიეს, წამხარი გამოდგა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს ხსენებულნი ვაჭარნი.

ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ დროებით, დ. ზ. ყორღანოვის ნაცვლად, რომელმაც თავის თანამდებობას თავი დაანება, დანიშნულ იქმნა იმავე სასამართლოს წევრი ფ. ი. ასიტოვი. ყორღანოვის კარგა ხანია რაც ვადა გაუვიდა, მაგრამ საბჭოს ჯერაც არ ამოუჩრევია იმისი მოადგილე.

ამ დღეებში რიცხვი, რომელნიც ამიერ-კავკასიიდან გარდასახლებას აპირებენ, ადმინისტრაციის გამოკვლევით, 3,300 იქმნება. ბევრი მათგანი კუნძულს კიბროსზედ აპირებს გარდასახლებას.

გაზ. ჩერნ. ვესტ. სწერს: შთავრებამ შეიწყარა ბათუმის თვითმმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ბათუმში შემოღებულ იქმნას საავადმყოფოს სასარგებლოდ გარდასახადი.

„Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს სამრეწველო სასწავლებელთა განყოფილების გამგე ი. ა. ანოპოვი კავკასიაში სხვა-და-სხვა ქალაქებში აპიროს წასვლას. ამ მოგზაურობას კავშირი აქვს ამ ქალაქების შუამდგომლობასთან უმაღლესის და საშუალო სატექნიკო სასწავლებლების დაარსების შესახებ.

გაზ. „ახ. დიმ.“ ქუთაისიდან სწერს: 6 ივლისს ქუთაისის ახალსაბჭოს ჰქონდა პირველი კრება, რომელზედაც დ. ნ. ბაქრაძე ამორჩეულ იქმნა თავმჯდომარედ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ქალაქის მოურავს თავმჯდომარეობა არ უშეძლიან. პირველსავე კრებაზედ ხმ. დ. ა. ნახაროვი შეეკითხა გამგეობას ერთის მეტად უცნაურ საქმის შესახებ. ვიდრე მორიგი საქმეების განხილვას შე-

ნურ ჩაიწი, ამას ჰქვან სიყალბე და ამისი მომქმედი სისხლის სამართლით ისჯება. სამწუხაროდ, ჩაის ვაჭარნი ისე გამოქნდნენ და დახელოვნებულნი არიან თავიანთ საქმეში, რომ რომელიმე მათგანი ძლიერ იშვიათად თუ ჩავარდება ხოლმე პასუხის გებაში, მით უფრო, რომ ჩაი ბევრთათვის უცნობ საქონელს შეადგენს, ბევრის მყიდველისათვის იგი terra incognita-ა. თუ ამ საუკუნის „ახლნიკებმა“ ვერ მოახერხეს პირდაპირის გზით თითბერი ოქროდ გარდაქცევა, ეს ადვილად შესძლეს ხვეულის გზით; ისინი ხელოვნურად გადააქცევენ ხოლმე ფოთლებს წიფლისას, წაბლისას, იფნისას, ნაკერჩხალისას, მარწყვისას, ანწლისას და სხ. ნამდვილ ჩინურ ჩაიად, რომელსაც ჩვენ ვსვამთ და თან ვაქებთ. სუყველა ჩამოთვლილს მცენარეს აქვს მომწვლარტო გემო და ამიტომ წარმოადგენს ადვილ გასაკეთებელ მასალას. სხვა-და-სხვა მანქანის შემწვობით უბრალო ფოთლებს აძლევენ ჩინურის ჩაის ფოთლების სახეს, ფერს და სურნ-

ვლდებოდნენ, სთქვა ნახაროვმა, საქირთა ბოლო მოვლათ ერთ სამწუხარო გარემოებასაო. საქმის არის, რომ, როგორც ყველამ უწყის, ქალაქში ხმა დადის რაღაც სიყალბის ჩადენის შესახებ. ეს ხმები ჩირქსა სცხებენ გამგეობის მდივანს. ამ საქმის დაუყოვნებლივ განხილვა უნდა. ქალაქის მოურავმა ლ. ტ. ლოლოვამ მიუგო, რომ ეგ ხმა ჩირქს მდივანს-კი არა სცხებს, არამედ ჩემს კეთილსახელს შეურაცხყოფს, მაგრამ ამ კრებაზედ მაგის შესახებ პასუხს ვერ მოგიგებთ და ვეცდები, რაც შეიძლება მალე დაგაკამათოთო.

სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებიან, რომ წელს უმაღლესს სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები ეგზემენები იქნება ახალის, შესაძრველ შემოკლებულის პროგრამითაო. საერო განათლების სამინისტრომ ასეთი პროგრამები უკვე შეიმუშავა, მაგრამ ჯერ ამ საგნის შესახებ განათლების სამინისტროს ვა უწყებებთან არ შეთანხმებულა. ამ პროგრამით უმთავრესად უფრო გაადვილებულია სამათემატიკო საგნები.

სად. მცხეთა. 7 ივლისს აქ შემდგომი უბედურება დატრიალდა. რამდენიმე ამხანაგი წავიდა საბანაოდ მტკვარზედ, მათ შორის მეშვიდე კლასის მოსწავლე ტფილისის მეორე კლასიკურის გიმნაზიისა გიორგი ორჯონიკიძე. ჩასვლის უმაღლეს წყალში ორჯონიკიძე ორჯულ-სამჯერ დაუძირავს წყალს, რადგან იმ ალაკას დურღულში ყოფილა და ორჯონიკიძეს-კი არა სცოდნია ცურაობა. ერთი-კი დაუძახნია ამხანაგებისთვის „მიშველეთო“, მაგრამ გვიან-ლა ყოფილა; ამხანაგები და ნათესავები დაქვებენ და ჯერაც ვერ უპოვნიათ. გიორგი ორჯონიკიძე თურმე მცხეთაში საზღვხულოდ იყო წასული გზის ოსტატ ბან დამბრავასთან, რომლის ბავშვებსაც ამზადებდა გიმნაზიაში მისაღებად.

სოფ. ქვემო-მანჯანია. სამიწერატორო სამეურნეო საზოგადოებისგან ამ დღეებში მოუვიდა დ. ნადირაძეს 600 მან. დასარიგებლად დაზარალებულებისათვის სიღნაღის მაზრაში. რადგანაც ეს ფული არა-

დამოყენის მეთვალყურეობისა“ არ ეშინიან და ხშირად ჩინეთიდან ჩაი ხომალდებით მოსცურავს, იქვე გადაკეთებული, ვგონებთ სუყველა ჩვენ მიერ ხმარებული საშუალება ჩვენის სტომაქის დასაცველად ტყუილი უნდა გამოდგეს. მაგრამ თუ გვეცოდინება ბუნებითი თვისებანი ნამდვილის ჩინურის ჩაისა, შეგვიძლიან მოტყუებას ზოგჯერ თავი დავაღწიოთ ხოლმე. ჩინურის ჩაის ხელის შეხებითაც შეეცუება. როდესაც თითებს უჭერთ ჩინურს ჩაის, იგი იხრება, იზნიქება და არ იმტვრევა; მხოლოდ თუ ძველია, მაშინ იცის მტრევა, მაგრამ არა ისე, რომ მტვრად იქცეს. თუ სხვა მცენარის ფოთლებთანა გვაქვს საქმე, ხელი რომ მოუჭიროთ, მაშინვე დაიფშვინტება და სრულიად მტვრად იქცევა. ნამდვილის ჩაის ერთი ისეთი თვისება აქვს, რომლითაც ძლიერ განირჩევა სხვა მცენარის ფოთლებისაგან; სახელდობრ, — საჩაე რომ ჩაით აავსოთ და მაკრადზედ ძირით შეანძროთ, ცალიერ ადგილს დას-

ვის-რა გასწვდება და იმეგ დღესვე მწვადივით შეეჭმებათ, ამისათვის ძალიან კარგი იქნებოდა სამიწერატორო საზოგადოების თანახმად ამ ფულით ნასყიდო ვაზის საწამლი, მანქანები დაპირებოდნენ დაზარალებულ სოფლებს; ვისაც მანქანის სყიდვის ილაჯი არა აქვს, იგი მცირე საფასურით მიჰქირავებოდა და აღებული ქარა ყოველ-წლივ საპყარ-ლატაკებს დაურიგებოდათ სამადლოდ სოფლის მღვდელ-მასწავლებლების მეთვალყურეობით.

აქედანვე აქაც მობრძანდა ამ დღეებში ჩვენი სასიქაღულო ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ მრავალნი ქალნი და კაცნი წმ. სამების ტაძართან.

ზნაუტი-მანჯანია, (ტფილისის მაზრა). ახალის ბოქაულის ბ-ნ ე. გუგუშვილის გამოყვანით აქაურ სასმელების მეღუქმეებს ცული ამინდი დაუღდათ. როგორც მოგვხსენებთ, აქეთ უღებ-კაცობა რუსობა სცხოვრობს. ჩაიტანდნენ ხოლმე ქალაქში გასასყიდად კართოფილს, კომბოსტოს და სხვას, გაჰყიდნენ, მაგრამ ფული აღარ ამოჰყვებოდათ თან. აქაური მთელი გზა, განსაკუთრებით ესრედ წოდებული სამადლო, სავსეა დუქნებით. შევიდოდნენ დაიწყებდნენ სმას, მიჰვლანგადნენ, რაც რამ ნავაჭრი ჰქონდათ, და ქერებებსავეთ ეყრებოდნენ შარა გზაზედ. ჩვენს ჩაფრებს ერთი და ორი კაცი არ აუყენებიათ ძალზედ ნასვამი და კლდე-ორზედ გადაიხეობი. რა მარტო რუსობა, როდესაც ქართველი გლეხ-კაცობაც ადვილად ეხვეოდა მეღუქმეების ბადეში.

ამ გარემოებას ახალმა ბოქაულმა ყურადღება მიაქცია და ბრძანება გამოსცა, მეღუქმეებს დაბეჭდილი განცხადება დაურთავ, რომ ვინც თავის დუქანში ნებას მისცემს ვისმეს დათრობისასა და ლოთობისას, სასტიკად დავუწყებ დევნას და სამართალში მიეცემო. ნასვამებსა და მთვრალებს იმათის ხარჯით გავუჩენ ბინას და შუამდგომლობას დავიწყებ, რომ ასეთი დუქნები დაკეტულ იქმნასო. ამ ბრძანებამ მეღუქმეები ცოტა არ იყოს შეაფიქრანა და კბილებს ილე-

ტოვებს. გაიმეორებთ რა ამას რამდენჯერმე, ასე გვეგონებათ, რომ საჩაეში ნახევარი მუჭა ჩაიც აღარ ჩავაო, მაგრამ როდესაც კიდევ შეანძრევეთ, განკვირებით ჰნახავთ რომ საჩაეში ჩავიდა კიდევ რამდენიმე მუჭა ჩაი. ამ თვისებით ვერც ერთი მცენარე ვერ შეედრება ჩაის. მესამე საშუალება, თუ გსურთ ვაიგოთ, ნამდვილი ჩაი არის თუ არა, ეს არის: აიღეთ რამდენიმე მარცვლი ჩაისა და პირში დაჰტყუეთ. ნამდვილის ჩაის ფოთოლი მაშინვე პირში გაიშლება ადვილად დაიღებება და სასიამოვნო გემო ექნება და თუ ნამდვილი ჩაი არ არის, ფოთლები დიდხანს რჩება მშრალი, გაუშლელი და გემოვნება მწკლარტე ბალახისა აქვს. მეთხვე გამოცდა ჩაისა. აიღეთ ერთი სტაქანი ცივი წყალი, ჩაჰყარეთ შიგ ნახევარი მუჭა ჩაი, თუ იგი ბუნებით ნამდვილი ჩაია და შედგებილი არ არის, წყალში ფერს არ გამოსცემს, მხოლოდ თუ დიდხანს დარჩა, წყალს ცოტა ფერს შეუცვლის; თუ ჩაი შედგებილი არის, ცივი წყალ-

სავენ ბოქაულზედ, მაგრამ რას დააკლებენ?! მაინც კი ამ ბრძანებამ გასქრა და ჰფრთხილობენ, მუშტარს ორ-სამ ტიქა არაყზედ მეტს აღარ აძლევენ. იმედია, უფრო გაჭრთხილდებიან, როდესაც ბოქაული ერთორს მეღუქმეს ოქმს შეუღვენს და სამართალში მისცემს. მეღუქმეები ხომ არ არიან ბოქაულის მადლიერი ამ კეთილისა და გონიერის განკარგულებისათვის, საკვირველი ის არის, რომ არც რუსის გლეხობაა მადლობელი, ისე აქეთ გამჯდარი ძვალ-რბილში პილატეს ცრემლის სიყვარული. ან როგორ არ ექნებათ, რომ აქაურის გლეხისათვის სასმელების დუქანია მუღმივი ბინა და სამყოფელი, იქ აღამებს, იქვე ათენებს და თავის ჰირ-ვარაშზედ მოსალაპარაკებელ ადვილადაც იგივე დუქანი აქვს.

შარილი სამეგრელოდან 4 ივლისი.

ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც სამეგრელოს ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას — სიმინდს ყოველ წლივ თან-და-თან ფასი აკლდება. დღეს სამეგრელოს ყოველ სოფელში ფუთი სიმინდი იყიდება 25-30 კაბ. ამ ფასად სიმინდის გაყიდვა, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი იმედნუგეშია მზენელ მთესელ მუშა-კაცი-სათვის. ამიტომაც არის, რომ წლითი-წლით სიმინდის თესვა-მოყვანას უკლეს. თუმცადა სიმინდის ფასის დაწვეამ იკლო, მაგრამ ამის მაგიერობას ხწვეს აბრეშუმის მოვლა-მოშენება, რომელიც საქმაოდ სასარგებლო გამოდგა წელს ამ ქესატობის დროს. ჩვენში ისეთი ოჯახი არ დარჩენილა, რომ სამში ორს მაინც არ შეეძინოს ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლი. ზოგიერთს ჩვენს მებრეშუმე ქალებს, უცოდინარობით, თუ თესლის უფარვისობით, აბრეშუმეა უნლატა. საზოგადოდ რაც უნდა ნაკლები ვიანგარიშოთ, თითოეულს ოჯახს, ორთაშუა რიცხვით, 10 — 20 მანეთამდის ფული ერგოს. ერთი მაგალითებიც ვიცით, რომ ზოგიერთმა 50-100 მან. აიღო. ფუთი უმი პარკი სოფლად იყიდებოდა 11-12 მან., ზუგდიდში 15-

17 მან. ხოლო ახალ ხენჯაში ფუთი პარკის ფასი არ ასცილებია 15 მან. ხან და-ხან 12, 13, 14 მან. 50 კაბ. იყო. ახალ-ხენჯაში უფრო უნდა ყოფილიყო ფუთის პარკის ფასი 15-18 მან., ვიდრე ზუგდიდში, რადგანაც აქედან უფრო ადვილია გაგზავნა, ვიდრე ზუგდიდიდან, მაგრამ ხენჯაში ჰბუღობს მთელი გროვა ჩარჩ-ბერძნებისა, რომელთაც ჩაუგდიათ სამეგრელოს ავლა-დიდება და ნაჭირნახულევი. ამ ვაგებატონების ხელშია მაზანდის აწვე-დაწვევა და გიერ იქნება, ძალად ასწიოს ფასი, რადგან მეტოქე არააინა ჰყავთ. წელს მაინც, წარსულ წლებთან შედარებით, პარკს კარგი ფასი ჰქონდა. ამიტომაც არის, რომ მომავალ წლისათვის არამც თუ მარტო შეაბრეშუმე ქალები ემზადებიან, არამედ მამაკაცებიც იმის ფიქრსა და საგონებელში არიან, როგორ გაამრავლონ იგი. უბედურება ისიც არის, რომ ქვის საკვები თუთის ხე სამეგრელოში ძალიან ცოტაა და დიდის ტანჯვა-წვალებით ჰკვებვენ ქაის ამბობენ, ქვის საკვები ერთნაირი სათესი ბალახიაო, მაგრამ რამდენად მართალია, ჯერ არ ვიცით...

ზოგიერთი ავადმყოფობა დღესაც გამოუღვევლია. უფრო გავრცელებულია წიანელი და ზარალსაც იძლევა... ჯერ-ჯერობით წრევანდელ მოსავლის შესახებ არაფერი ითქმის, რადგანაც სიმინდები ეხლაც გაუმარგლავია. არ ვიცით, ეღირსება თუ არა წელს სიმინდებს გამარგვლა, რადგანაც ამინდების ცვალებადობა ხელს უშლის. აქეთ დღიური მუშაკაცი 80—90 კაპიკად ჰღირს. უმეტესობა დღიური მუშა-კაცებისა გაფანტულია ბაიუმ-ფოთ-სოხ-უმა-ფხა-ზეთში... ტრიფან კალანდარიშვილი.

დაბატ სოფელი (მოწერილი ამბები)

ს. კიკნაველთი, (ზემო ამკრეთი). ს. კიკნაველთი სქეს ზემო ამკრეთში, ქუთაისის მაზრაში. მდებარეობა მისი და ზრთვე მთქაის ზეგანისს მეტად მშვენიერი და ლამაზია. ყოველს მხრავ მთები აკრავს, თითქოს მი ისეთსავე ფერს გამოიცემს, როგორც ადულებულში. ნამდვილის ჩაის ყნოსითაც ატყობენ, მაგრამ ეს ადვილი გასაგები არ არის, რადგანაც ჩვენში ძნელად თუ ვინმე იცოდეს ნამდვილის ბუნებითის ჩაის სურნელება. ერთი ჩინური ტურნალი ჩაის შესახებ შემდეგს დარგებას იძლევა: ჩაი არ უნდა ადულოთ, მხოლოდ დააცადეთ, რომ ფერი გამოსცეს, ჩაიდანში იმდენი ჩაი ჩაჰყარეთ, რომ თითო ქიქა, ანუ ფინჯანზე თითო ჩაის კოვზი ჩაი მოდიოდეს; ჩაი უნდა დაშლიოთ უშაქროდ და ურძეოდ. ტყუილად-კი არ ამბობენ, რომ ჩაის სმა მარტო ჩინელებმა და იაპონელებმა იციან და სხვა ერნი-კი აფუტებენ ამ კეთილმოზობის სასმელს სხვა-და-სხვა ტყბილეულობისა და რაღაცების მიმატებითაო. ალ. გულისაშვილი

ინესა, ამ დედაკაცს უამბობ, მე ესპანისი ძლიერ მდიდარის გრანდის დე-პენდორასის ასული ვარ და სრული წლოვანი რომ შექვიყნებინა, აუარებელი სიმდიდრე მერგებდა, მხოლოდ ესლა ვერ არის ჩემი საქმე კარგად, რადგანაც ჩემი მამობილი და ბიძაშვილი გრაფი შემბერი მდენიან და უნდათ, რომ მომკლან როგორმე, რათა თითონ ჩაიგონ ხელში მამიჩემის სიმდიდრე. ხშირად ძლიერ შემინებულნი დაბრუნდებოდა ხოლმე სახლში და სიხოდა, მამობილისა და გრაფის შამბერის ჯაშუშები მოსვენებას არ მძლევდნენ და მდენიანო; ერთხელ ოდნავ ხელ-დაჭრილიც მოვიდა სახლში და სიტყვა, შამბერის უნდა მოვეყალიბე და ხანჯლით დამკრაო. ამასთანვე ინესა სთხოვდა ხოლმე ამ დედაკაცს დახმარებას, სადმე დამაღლე, რომ უდროვოდ არ გამოვასაღო მტრებმა წუთი-სოფელი.

ბოლოს ელხასელმა ქვრივმა გადასწყვიტა შეეტყობინებინა ეს ამბავი თავის დისათვის სტრასბურგში და იმანაც მოსწერა—აქ გამოდგება, იქნება სტრასბურგში მტრებმა ვერ მოაგნონო. ინესა წყვილა სტრასბურგში და მხოლოდ ექვსდღე მიაღწია—გაზში ფული შამოეფლანგა. აქედან დეპეშით სთხოვა სტრასბურგელ მფარველ დედაკაცს, 160 მარკა გამოიგზავნე—უფულოდ ვხივარ აქა, რაც ფული შექნდა, —მომხარეთა. სტრასბურგშიაც ასეთს ხმებს ავრცელებდა ინესა, საცაა რამდენიმე მილიონი მერგებოდა და ხელი მიჰყვა თავისი მფარველის ჯიბეს—სხვა-დასხვა დროს გამოსტყუა 12.000 მარკა.

ამ ფულით ინესა ძლიერ მხიარულად ატარებდა დროს, დადიოდა თეატრში, იყიდა ცხენი და სხვ. ინესას კონსტანტინოპოლში საყვარელი ჰყავდა, უნდაოდა, რომ ის აქ მოსულიყო—სტრასბურგში, მაგრამ ფული არა ჰქონდა და ასეთი ამბავი შესთხზა—იმ კაცს საჭირო ქაღალდები აქვს, ფოსტას ვერ ვწვდები, არ მოიპარონო და თითონ კაცმა უნდა მოიპაროს. ინესას მფარველმა დედაკაცმა ამ ვიღაც ვაჭარს გაუგზავნა გზის ფული 240 მარკა. მერე ინესამ მოატორა, ამ კაცს საჭირო ქაღალდები დაუგირავებია 3000 მარკად და უნდა დავიხსნათო. ეს ფულიც დასტყუა. მერე კიდევ ამ ქაღალდების მოხატანად მოგზაურობისათვის გამოსტყუა 1,600, 500 და 200 მარკა. ამ ფულით ინესამ შემოიარა იტალია, საფრანგეთი, ტურინგენი და სხვა ადგილები. ზოგან თავისი საყვარელიც თანა ჰყავდა. ერთხელ ინესა დაბრუნდა თავისი მფარველთან და მიუტანა ვითომ და თავისს მამის დე-პენდორას მიერ დაწერილი ქაღალდი, მთავრობის მიერ შემოწმებული, რომელშიაც ეწერა, რომ ინესამ, სრული წლოვანი რომ შესრულდება, მამისგან 38 მილიონი გულდენი უნდა მიიღოსო. ინესას მფარველმა ეს ქაღალდი დიდს სიფრთხილთ შეინახა და ამას იქით ინესამ კიდევ დასტყუა 2.000 მარკა. ამ ფულის მიხატანადკი შემდეგ ზღაპარი მოიგონა, რამდენსამე წლის წინდ მამა ჩემმა დედა ჩემი მოჰკლა კარმელიტების მონასტერში უკვირებისა გამო, ესლა ახალ-კალედონიაში, გაგზავნილი დროებით, იქ ძლიერ მტარჯებდა და როგორმე უნდა დავხსნათო. ამა 38 მილიონის პატრონი 2.000 მარკას ვინ დაუტყდა!

ერთხელ კიდევ ინესა სახლში ძლიერ მხიარული დაბრუნდა და უაპობო თავისი მფარველს, ერთი გრაფინია, გვარად პურტელისი გავიცანი და იმან წამოყვანა საფრანგეთის იმპერატორი ეფენიასთან, რომელიც ესლა საიდუმლოდ სტრასბურგს ჩენუარის სასახლეში. იმპერატორსაც სიამოვნებით მიმიღო და ჩემი თაგდასაყალი რომ ვუამბე, მაშინვე უბანა თავისი მოხელეს, რომ მამი ჩემის განთავსებულსათვის გაგზავნა ერთი კაცისთვის, კასინოსთვის, 50.000 ფრანკი. ამ სიტყვების დასამტკიცებლად ინესამ გადმოუღო თავისი მფარველს ახალი კაბები და ძვირფასი ნივთები და უთხრა: ყოველივე ეს იმპერატორს მარტყაო. გარდა ამისა წერილიც უჩვენა, რომელიც ინესას სახელობად იყო დაწერილი და ვითომ იმპერატორის მიერ ხელ-მოწერილი. ერთი მუქიერიც კი მოატყუა ინესამ ამგვარად 1.600 მარკა დასტყუა. ერთი მოწვევ ჩაიგდო ხელში ინესამ, რომელსაც ძლიერ

უყვარდა, თუმცა ეს ქაღალდი ლამაზი არ არის, და რომელსაც ცოლად უნდა შეერთო. თავის მფარველს რომ დაანება თავი ინესამ, ახლა სხვა დედაკაცთან დაიჭირა სახლი და აქ არა თუ ოთახისა და სმე-ჭამის ფასი არ გადუჭდა, პირიქით ფულიც დასტყუა. ყველა მოწვევებმა სიტყვის, რომ ინესამ რამდენსამე თვეში 14.000 მარკაზე მეტი დახარჯაო და თან დასძინეს—ყველაფერში გულ-უხვობას იჩენდა, ერთხელ რესტორანში მოსამსახურეებს 70 მარკა დაურიგა საჩუქრად, ერთხელ კიდევ თავი გამოიღო და 100 მარკიანი ბილეთი დახარჯა.

სასამართლოში ინესა თამამად იქცეოდა, ხარხარებდა, ხალხს აცქერებოდა და განუწყვეტლად ლაპარაკობდა. ყველაფერ დანაშაულში გამოტყდა, მაგრამ იმას მინც ამტკიცებდა, ძლიერ მდიდარ დედამამის შვილი ვარ და ჩემი მოწმობა და სხვა საჭირო ქაღალდები ოსმალეთის სახელმწიფო ბანკში ინახებო. ბრალდებულის ვიქილი იერსე ამტკიცებდა, რომ ინესა სრულს სტყუებ არ არისო, მაგრამ მკურნალებმა სიტყვის, სრულს სტყუებ-ე-კი არა, ბრალდებული მეტად გონიერი და ნიჭიერი ქალი არისო. სასამართლოშიაც ისე ლაპარაკობდა ინესა, რომ ყველა გააკვირვა თავისი სტყუითა და კარგის სწავლა-განათლებით. თუმცა ინესა ფრანგულად ლაპარაკობდა, მაგრამ თურმე ამ ენის გარდა კიდევ სცოდნია იტალიური, ბერძნული, რუმინული, ბულგარული, ოსმალური და ესპანური ენები. სასამართლო მიიღო სახეში ახალგაზღვრება ბრალდებულისა და ზემოდ აღნიშნულ დანაშაულისათვის მხოლოდ სამი თვით დაპატიმრება მიუსჯა.

დეკემა

(რუსეთის დეკემბრის სააგენტოსაგან).

9 ივლისი

ამსკომი. 11 სასახლე და 50 წუთი
ზედ მოვიდნენ ბოლგარის მთავარი, მთავრის მეუღლე და ბატონიშვილი ბორისი. სადგურზედ დახვდა უაგვესტოესი გენერალ-გუბერნატორი, მეუღლისა, წარჩინებულებისა და მოხელე-ბითურთ. მატარებლის გაჩერებისთანავე, ვაგონიდან გამოვიდნენ მთავრინა, მარია-ლუიზა, შემდეგ მთავარი ფერდინანდი. ქალაქის მოურავმა მიართვა მარია-ლუიზას მშვენიერი ყვავილთა კონა, ხოლო მთავარს პურმარილი და მიულოცა კეთილად მოგზაურობა. მთავარმა ფრანგულს ენაზედ მილოცა გადაუხადა. დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ წარუდგინა მთავარს ფერდინანდს თავად-ახნაურთა წინამძღოლნი, გუბერნატორი, პოლიციისტერი და სხვანი, ხოლო მთავარმა თავისი ამაღლა წარუდგინა დიდ მთავარს. სადგურიდან მთავრის მეუღლე დიდ მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად წავიდა, ხოლო მთავარი ფერდინანდი დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძესთან ერთად გაზუდ აუარებელი ხალხი იდგა. კრემლის სასახლეში მთავრისა და იმის მეუღლისთვის მომზადებული იყო მემკვიდრე ცესარევიჩის ოთახები. მიაცილარა სასახლეში, უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი მეუღლითურთ 15 წუთის შემდეგ თავის სასახლეში წავიდა. ცოტა ხანს შემდეგ ბოლგარის მთავარი და იმის მეუღლე სათარბაზოთ იყვნენ დიდ მთავართან. იქვე შეიკრიბნენ ბოლგარის მინისტრები და მთავრის ამაღლა. შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლში საუბრე იქმნა გამართული.

პარიზი. ვახეთი ამტკიცებენ,
რომ ზოლა საზღვარ-გარეთ წავიდაო ზოგი ამბობს ბრიუსელში წავიდაო, ზოგი იუწყება დაწერილებით ცნობებს, საიდგანაცა სჩანს, რომ ზოლა დღეს უნდა მივიდეს ლიუცერნში.

სანტ-იაგო. დამოკიდებულია მემამოხეთა და ამერიკელებს შორის დღითი-დღე მწვავედა. შავტერმა განაცხადა, არც ერთ მემამოხეს ქალაქში შესვლის ნება არ მიეცემა. მემამოხეთა მიერ ამორჩეული გუბერნატორი კასტილიო თავის უკმაყოფილებას არა ჰმაღავს. შიშობენ, რომ ახლო მომავალში შეტაკება არ მოხდეს.

მადრიდი. გენერალი პარეხა, გენტანამოს ჯარის უფროსი, უარს აცხადებს, ამერიკელებს არ დაეგმორჩილებიო და ამბობს, რომ ტორალს შეეძლო დაემორჩილებინა ამერიკელებისთვის მხოლოდ სანტ-იაგოს ჯარი, ხოლო სანტ-იაგოს სულ 7,000 მეციხოვნე ჰყავსო.

ბოლანკო დეპეშით იუწყება, რომ სანტ-იაგოს დამორჩილების ნება არ მიმიცია, ეს საქმე უჩემ დასტურად მოახდინესო. ტორალი სამართალში იქმნება მიცემული.

პარიზი. Temps-ი ამბობს: იმ დეპეშებიდან, რომელიც ეს არის ეხლა მივიღე, სჩანს, რომ ესპანიასა და შეერთებულ შტატებთ შორის ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყეთო.

შემოწმებულია

საქველ-მოქმედო ბაზარს, რომელიც გაიმართა 31 მაისს ამ წლისას კავკასის ქართულ სკოლის სასარგებლოდ ამავე სკოლის შენობაში, შემოსწირეს შემდეგი ნივთები: 1, ე. ი. ჰიქინძისამ ორი ბალიში, მოქსოვილი საბავშვო საბანი, პაიჭები და ნაკერი ტუფლები; 2, ბ. ფ. პოპოვისამ ხელსახოცების ბოლხა, მოქსოვილი საყვლოები, ატლასით ნაქსოვი კალათა; 3, ა. ი. პოპოვმა 5 მან. ფული, ჩაინიკის დასაფარებელი; 4, ანნა გვარამიძისამ ბავშვების პერანგი, კაბა, საყვლოები, სულ შვიდი ნაჭერი; 5, ა. ბურდულისამ ნაკერი ცხვირ-სახოცი, მცხეთის სურათი, ნაკერი ტილო, მოქსოვილი ბავშვების ფარუხები, სულ 14 ნაჭერი; 6, ლ. ი. ბაქრაძისამ ბავშვის პერანგი, წერილების ჩასაწყობი, ბავშვის კაბა, ქუდი, სულ 6 ნაჭერი; 7, ე. ი. შავთალოვისამ საბავშვო ხალათები, ბავშვის კაბა, პატარა შარვალი, წერილების ჩასაწყობი, ნაკერი ჩაის ტილო, ქალის კოფთა, სულ 9 ნაჭერი; 8, ა. კარგარეთისამ მოქსოვილი საბავშვო საბანი; 9, ა. მ. კარგარეთელმა საათის ჩუსტი და საღმურეტი; 10, 5. ფიცხელაურისამ ცხვირ-სახოცების ბოლხა, სურათების ჩამოსაღები, სურხარის გადასაფარებელი, სულ 3 ნაჭერი; 11, ნინა კოკოლოვა აბრეშუმის ნაკერი ფეშტამალი; 12, ე. კ. მოზლოკლოვისამ ნაკერი მუთაქები, ბალიში, მოქსოვილი სუფრა, სათუთუნები, მოქსოვილი პერანგი, სულ 8 ნაჭერი; 13, ანნა ალექსანდრეს ასულმა რაგაცკომ მოქსოვილი შალი, ლამპის დასადგმელი და საწმეხე; 14, დარია ილიაონის ასულმა ბაქრაძემ ნაკერი ბალიში, პირ-სახოცი, წერილების ჩასაწყობი; 15, ა. ი. ხანშივილმა ხელსახოცების ბოლხა, წიგნების ჩასანიშნი; 16, მ. ნ. ბორისოვისამ სათუთუნე კოლოფი ნაკერი, მოქსოვილი ჩუსტები; 17, ე. ი. კნ. ხიმშივეისამ ერთი დუქინი ჩაის საღმურეტი, ერთი პირსახოცი; 18, ბ. ბოძიგვა ნაკერი მუთაქა; 19, ლიზა ლაგაზოვმა ერთი ბალიში; 20, ე. ი. ფ. სარაჯიშვილისამ საპირფარეშო მაგიდის მოსარავი და ლამპის დასადგმელი, სულ 8 ნაჭერი; 21, ელ. დავ. მოზლოკლოვისამ მოქსოვილი იუბკა, მოქსოვილი მძივის პორტანა, კოფთა ოთხი, ერთი პერანგი, ერთი ლამპის დასაჩრ-

დილებელი, სულ 8 ნაჭერი; 22, ნატ. იოს. ყიფიანმა სასურეს გადასაფარებელი ნაკერი და 1 მ. 50 კ.; 23, მღვდელმა გათუევმა 3 მანეთი ფულად; 24, ეფ. ქუშვილისამ 3 მანეთი; 25, ეფ. ჩხუბანიასამ 3 მან.; 26, პელაგია ჩერტიკოვისამ 2 მანეთი; 27, იოსებ ანდრონიკოვმა და სვიმონ ვანაძემ 10 მანეთი ფულად; 28, ი. თ. გუბნელოვმა ერთი დუქინი ცხვირ-სახოცი და ნახევარი დუქინი ჩაის საღმურეტი; 29, ხაქ. ლაგაზაშვილმა ერთი დუქინი ცხვირ-სახოცი; 30, ალ. გოზალოვმა ერთი წყვილი ლამპა; 31, სოფიო დიდბაშვილმა ერთი მაულის პატარა ხალიჩა; 32, ალ. აფრიაშვილმა ერთი დუქინი ცხვირ-სახოცი, ქიშმირის თავსახვევი და პატარა ყელსახვევი; 33, მარიამ უშვერიძისამ ერთი დუქინი ხილის საღმურეტი და ერთი სუფრა; 34, ნ. ნამგალაურისამ სამი სუფრა; 35, ელ. ივ. ოთარაშვილისამ სარკე და პოდნოსი; 36, პართა მეფერიშვილმა ერთი პერანგი, პირსახოცი, ორი სამუთაქე ხავერდები ნაკერი, სახიანი კლიონკა, კარანაშების საწყობი, სულ 7 ნაჭერი; 37, სოლ. კულიკოვისამ კარაქის ტურტელი, ხის ეტაჟერკა წერილებით-სათვის, წყვილი პატარა ვაზა; 38, დ. გრ. ჯაფარიძემ სამელნე, ორი პატარა ვაზა, შინდლი, საფერფლე, ორი პატარა სურათი, სადამური ლამპა, სულ 7 ნაჭერი; 39, მარ. ჩითაევმა ოთხი წყვილი ჩუსტი, სამი ქისა და ლამპის დასადგმელი, სულ 8 ნაჭერი; 40, ი. ს. მესხიშვილმა საბავშვო ჩოხა, ნაბადი, ქუდი, ყაბალახი, გიშრის კრიალო-სანი, გიშრის სამაჯური, სულ 6 თავი; 41, ნატ. მრველოვისამ ორი პირსახოცი და არშია; 42, მარალა ნიკ. ასულმა მირზაშვილისამ-პატარა ნაკერი ზურჯინი; 43, ელ. გ. სვიმონოვისამ ექვსი წყვილი მოქსოვილი ჩუსტი, 44, 5. გუბნელოვისამ ერთი კარგი პოდნოსი; 45, ეფ. გვედევანოვისამ ერთი დუქინი ცხვირსახოცი, ერთი პირსახოცი, ათი ბროლის ჩარქვა, 3 გირ. მღვავი, 3 კოლოფი კონფერტი; 46 მარ. შვილევისამ ერთი დუქინი ცხვირსახოცი, ორი პირსახოცი, 47, გერა ნადიბაძისამ ერთი მუთაქა; 48, ქ-ნმა მისუბაძისამ წყვილი ყვავილენიანი კალათა, 49, ი. გრ. შვილევა ორი ბადია, ერთი პატარა პოდნოსი, შვიდი თუნუქის საჩაიე, ერთი თუნუქის ყავის ტურტელი, ერთი ბარბანი, ერთი ქრელი თოკი, ჩალის ფარდა, სულ 14 ნაჭერი, 50, დარია ბარათაშვილისამ—ერთი ფრავეს სასურბე, ერთი ფრავეს ჩამჩა 51, ელ. სოლ. გვარამიძისამ —ერთი სასურბეს გადასაფარებელი, ერთი პირსახოცი; 52, აბ. როინაშვილმა-ქვის საპაპროზე; 53, მარ. ვიკენტ. კახიძისამ გარუსის ძაფით ნაკერი ბალიში; 54, ქ-ნმა თეთროვისამ ერთი გრაფინი და 6 რუმკა თავისი დასადგმელი; 55, ქ-ნმა რამაზიანისამ ლამპის საჩრდილებელი ატლასისა და ერთი საშაქრე; 56, ა. იაგოროვისამ ერთი ბალიში, ორი სუფრა და ორი პირსახოცი; 57, 5. ბ. ანანოვმა 2 მან. ფულად; 58, ირინა ფიცხელაურისამ მოქსოვილი არშია ბალიშისა, და 59, ბ. ბურდულისამ ნაკერი იუბკა და ორი პერანგი.

ბაზრის გამართვაში თაონობა იკისრეს: ე. ი. ჰიქინძისამ, ბ. ფ. პოპოვისამ, ელ. დავ. მოზლოკლოვისამ, ანნა ი. პოპოვმა, ანნა იოს. გვარამიძისამ, ანნა მიხ. ბურდულისამ, ლ. გ. ბაქრაძისამ, ლიზა გ. შავთალოვისამ, მარიამ ბარისოვისამ, ნინა ალ. ფიცხელაურისამ, ნინა კოკოლოვისამ, დარია ილ. ბაქრაძისამ, ნატალია იოს. ყიფიანისამ და ანნა ალექსანდრეს ასულმა როგოვისამ, რომელთაც შეაგროვეს 273 მ. 65 კ. საღირალი 218 თავი ნივთი. ნივთების გაყიდვით შემოვიდა 164 მ. 55 კ. ფულად შემოწირულება 29 მ. 50 კ. სრული შემოსავალი შეიქმნა 194 მ. 05 კ., აქედან დაიხარჯა: მეეტლეს 1 მ., პოლიციელს 50 კ. მოსაწვევი ბარათებისა და სალიტერატურო დილის პროგრამის დასაბეჭდელად კონფერტების ფასი 3 მ. 30 კ., მთელი გასავალი უდრის 4 მ. 80 კ. ანაირად წმინდა შემოსავალი დარჩა 189 მ. 25 კ., რომელიც მიიღო კავკასის სკოლის სამხრუნველო ხაზინადარმა ელ. დავ. მოზლოკლოვისამგან. „წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ გამგებმა ვალად რაცხს თავის თავს უგულითადესი მადლო-

ბა გამოუცხადოს, როგორც წინასწარ შეთავაზებული, აგრეთვე ყველას ვინც რამე დახმარება აღმოუჩინა ამ საქველ მოქმედებაში, მისი ნივთი გამოტოვალს საქმეს და თავისი ბეჯითი და ერთგული მგაცდინებოთ აღმოუჩინეს ნივთიერი დახმარება კავკასის სკოლას, რომელსაც იმედია ხსენებულნი მან დილოსნები არც შემდეგში მოაკლენ შეძლებისა და გვარად დახმარებას.

წმილი რედაქციის მიმართ

2 ივლისს დ. ყვირილაში იყო გამართული ქათულ-რუსული წარმოდგენა ყვირილის უფსო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი დარჩა 73 მ. და 82 კ., რომელიც გადმოვიცა მე, როგორც წიგნთ-საცავის დაპარსებელს და მმართველს. დიდს მადლობას ვუძღვნი როგორც დ. ზესტაფონის საზოგადოებას, აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ: ქ-ნთ მარდინოვებს, ბაქრაძისას და ზლოზინისას და ბ. ნ. ზლოზინს, კალატოზებს, პეტროვისს, ტროიკისს, არაბიძეს, მ—ძეს, ს—ძეს, ე—ს და პანიშვილს.

განცხადებანი

ივანე იაკობის ძე დოლოგოვსკო
5 ივლისიდან მ. გორში იკისრებს და აწარმოებს მსურველთა სა-მოქალაქო, მამულების გამიჯვნისა და სისხლის სამართლის საქმეებს საზოგადო და მომრიგებელი სამოსამართლო დაწესებულებაში. ქალ. გორი, სახლი სტეფანე ზუბიევისა. ჩემ შინ არ ყოფნის დროს მსურველთ მიმართონ სტეფანე იოსების ძე ზუბიევის, რომელიც იქავე სტოვორობს. (3-102-2)

Т-во БРОКАРЪ И К^о.
ИЗОБРЕТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРИИ
„Персидская сирень“
0-де-колонь.
Духи. * Мыло.
Прощим остерегаться подделок.
(11-3-2)

სულით აკადემიკოვთაგანს განზრახვლის თაჰსეკაფარისათვის ს. ს. შ. რ. ა. ა. განსაკუთრებული სახლი
ქალაქის განზარდა დიდის ეზოთი და თუ შეიძლება, ბალითაც. ოთახების რიცხვი 12-15-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს.
მსურველთ უნდა მიჰმართონ ქალაქის გამგებობას. (3-5-2).

ტვილისის ქალაქის გამგებობა
ამითი აცხადებს, რომ მის სადგომში 15 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, **მარტოზა იმწმება გამართული**, რომ ხომ არავინ იკისრებს ტვილისის ცხენის რკინის გზის **ორგოც-და-ათის მარონისათვის საპროც. ცხენების მოკოვებას**.
ვაკრობაში მონაწილეობის მიღების მსურველი შეუძლიან პირობების შეტყობა ქალაქის გამგებობის სადამრეგულირებელი განყოფილებაში. (3-5-1)